იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 2012წ.

წინამდებარე უძრავი ნივთის იჯარის ხელშეკრულება (შემდგომში ხელშეკრულება) ფორმდება 2012 წლის 9 აპრილიდან შემდეგ მხარეებს შორის:

ერთის მხრივ შპს „კომბინატი 13“ მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა #5, სადენტიფიკაციო კოდი: 204896773 წარმოდგენილი მისი დირექტორის ისმაილ ხატიაშვილის სახით, შემდგომში „მეიჯარე“ და

მეორეს მხრივ ი/მ „რუსლან გერგედავა“ რეგისტრირებული ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2011 წლის 3 მარტს, მისამართი: ყაზბეგის ქუჩა 28,ბინა #14, სადენტიფიკაციო კოდი: 62004000120, შემდგომში „მოიჯარე“ ამ ხელშეკრულებაში მხარეებად წოდებულნი წინამდებარე ხელშეკრულბაზე ხელმოწერით თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი I

ხელშეკრულების საგანი

I.ა მეიჯარე გასცემს, ხოლო მოიჯარე იჯარით იღებს მიწის ნაკვეთს 400მ2 ფართს, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე უნივერსიტეტის ქუჩა #5 ქ. თბილისი, საქართველო (შემდგომში ქონება)

I.ბ ამ ხელშეკრულების Iა მუხლით გათვალისწინებულ ქონების მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „კომბინატი 13“, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი# 01.14.06.006.004 მომზადების თარიღი:17/11/2011წ.)

I.გ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება გამოყენებული იქნება ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და ავტომობილების სამრეცხაოდ მსუბუქი კონსტრუქციებით დროებითი ბოქსების მოწყობის, აგრეთვე 60მ2-მდე კაპიტალური შენობის განთავსებისთვის.

I.დ ამ ხელშეკრულების I.ა მუხლით გათვალისწინებული ქონება გადაეცემა მოიჯარეს არსებული იჯარის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ქონების დაბრუნება მეიჯარისთვის დადასტურდება უფლებამოსილ მხარეთა მიერ მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერით, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

მუხლი II

ქირა და ანგარიშსწორების პირობები

II.ა ქონების–მიწის ნაკვეთის იჯარის ყოველთვიური საზღაური (ქირა) შეადგენს:

1000 (ერთიათასი) ლარს 1მ2*2,5 ლარი. ქირა მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს

II.ბ ქირის გადახდა იწარმოებს ყოველთვიურად წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 7 რიცხვისა ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

II.გ კომუნალური მომსახურეობის (ელ. ენერგია, დასუფთავება, ბუნებრივი აირი, წყლის მიწოდება და სხვა) საფასური არ შედის ქირის ოდენობაში და გადახდილი უნდა იქნას მოიჯარის მიერ

მუხლი 3

იჯარის ვადა

III.ა წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 17 აპრილიდან და ძალაშია 2012 წლის 17 ნოემბრამდე

III.ბ წინამდებარე იჯარის ხელშეკრულების ვადამდელი შეწყვეტის თაობაზე მხარეები ვალდებული არიან წინასწარ წერილობით აცნობონ ერთმანეთს ერთი თვით ადრე სავარაუდო შეწყვეტის თარიღამდე.

მუხლი 4

მეიჯარის უფლებები და მოვალეობები

IIII.ა მეიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს მოიჯარის მიერ ქონებით სრული, შეუზღუდავი და შეუფერხებელი სარგებლობა იჯარის ხელშეკრულების მთლიანი ვადის განმავლობაში, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

IIII.ბ მეიჯარეს უფლება აქვს: მოსთხოვოს მოიჯარეს ქირის გადახდა, სრულად დადგენილ ვადაში.

მუხლი 5

მოიჯარის უფლებები და მოვალეობები

IIIII.ა მოიჯარე იღებს ვალდებულებას გამოიყენოს მიწის ნაკვეთი (ქონება) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის

IIIII.ბ დროულად გადაიხადოს საიჯარო თანხა

IIIII.გ წესრიგში იქონიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება (მიწის ნაკვეთი)

IIIII.დ არ გააქირაოს ან სხვაგვარად არ გადასცეს ქონება მესამე მხარეს

მუხლი 6

სხვადასხვა ვალდებულებები

IIIIII.ა უფლებს განხორციელების ან ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას იგულისხმება, რომ თითეული მხარე მოქმედებს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად.

IIIIII.ბ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება, შესწორება ან დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა, მიერ მისი წერილობითი ფორმით შეთანხმებისა და ხელმოწერის შემთხვევაში.

მეიჯარე:

შპს „კომბინატი 13“

ს/კოდი: 204896773

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ კოდი: UGEBGE22

ა/# 016467343

მოიჯარე:

ი/მ „რუსლან გერგედავა“

ს/კოდი: 62004000120